პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

11 ნოემბერი
პარასკევი

1918. დასავლეთის ფრონტზე დადებულია დროებითი ზავი. სამხედრო მოქმედება შეწყდა ყველა ფრონტზე.

1917. სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობამ გამოჰყო საბჭოთა მთავრობა ამხ. ლენინის თავმჯდომარეობით.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 208 პარასკევი, 11 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 11 ნოემბერი, 1921 წ. № 208

დღიური

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეულია ა. წ. 25 დეკემბრისათვის.

უკვე დაიწყო საზღვარ-გარეთ შავიქვის გაზიდვა.

საქართველოსა და რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავის დღესასწაული დიდებულად ჩატარდა.

ღალატისა და თვალთმაქცობის პოლიტიკა

იმ მომენტიდან, როდესაც საქართველოს მენშევიზმმა თავის გამოსვლით მთელ რიგით არევ-დარევა შეიტანა ოდესღაც გაერთიანებულ რევოლუციონურ ფრონტში, უკვე მაშინ საერთო მიზნები ბრძოლის და მაგრათ ჩაიკეტა თავის „საკუთარ" კარები, რომ ეწოდოდა „დამოუკიდებელი პოლიტიკა"—მისი ბრძოლის მთელი უნარი და ენერგია ბუნებრივი მოუკიდებლობით მიმართული უნდა შეკავშირებულიყო ოქტომბრის რევოლუციისა და მის მიერ წამოყენებული მთავრობის წინააღმდეგ და ყველა იმ შინაური თუ გარეშე ძალების დასახმარებლათ, რომლებიც ებრძოდნენ ამ რევოლუციას. ეს სავსებით შეუძლებელი იყო. ოქტომბრის რევოლუციის მიერ წამოყენებული ლოზუნგები, მთელი მისი პროგრამის გეზი ინტერესთა წინააღმდეგობა იმდენათ გამწვავდა, სახელმწიფოებრივ ძალთა დაჯგუფება ისეთი მიმართულებით წავიდა, რომ თვით ჩამორჩენილი ქვეყნის პირობებშიაც აღარ დარჩა ადგილი „საშუალო" ხაზისათვის და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ორ ბანაკთა ირგვლივ დაიწყო მობილიზაცია ყველა საზოგადოებრივი ძალების. ეს ისეთი მომენტი იყო ბრძოლის, როდესაც ქვემორიტით, ვინც „ჩვენთან არ იყო, ის ჩვენი წინააღმდეგი იყო". ასე დაემართათ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს და მათ შორის ქართველ მენშევიკებსაც. ჩვენ თავის დროზე წამოვაყენეთ მათ წინააღმდეგ ბრალდება იმის შესახებ, რომ თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ მათ გაყიდეს სასიცოცხლო ინტერესები. სოციალისტური რევოლუციის და მუხანათური თავგამოდებით, მთელი ძალით და ღონით, ეხმარებოდნენ უცხოეთისა და შინაური რეაქციის ნაძირალებს. ეს ბევრს უმრავლეს დემაგოგიად მიაჩნდათ. ის მასალები, რომლებიც გამოქვეყნდა ჩვენ გაზეთში და იბეჭდება დღესაც, გარკვეულ სინათლეს ჰფენენ ბევრისათვის საიდუმლოებით მოცულ მენშევიკური დიპლომატიის ჯუნგლებს და ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ რევოლუციისადმი მათ მოღალატურ და თვალთმაქცურ პოლიტიკას. დღეს აშკარა უნდა შეიქნეს ყველასათვის, თვით მენშევიკების ყოფილ მიმდევართა ერთგულ თემებისათვისაც, რომ რევოლუციის ზურგს უკან მოხდა მენშევიკური მთავრობის და იმპერიალისტებს შორის შეთანხმება ერთ საერთო პლატფორმაზე, რომელიც შეიცავდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას ამ რევოლუციის დასამარებლათ, რომ ამ მიზნით მოხდა ოკუპაცია ამიერ კავკასიის, რომელიც უნდა გამოყენებული ყოფილიყო იქ არსებულ ნაციონალურ ბურჟუაზიულ—მათ შორის უმთავრესათ მენშევიკურ—ხელისუფლებათა დახმარებით სოოპერაციო ბაზად ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს კიდევ ცოტაა. მოკავშირეები—და კერძოთ ინგლისი—ზურგს უმაგრებდენ მაშინ სამხრეთის კონტრ-რევოლუციას, გენერალ დენიკინის მეთაურობით. და სწორეთ მაშინ ინგლისის დახმარებით შეიქნა მენშევიკური მთავრობა, როდესაც მან ინგლისის საშუალება მისცა, და სიამოვნებითაც (იხ. უოკერის წერილი ჟორდანიასადმი) ავანტიურისტ ბიჩერახოვის სამხედრო ძალები ბაქოდან გადაესროლა საქართველოს რკინის გზით და ფოთით ნოვოროსიისკში, დენიკინისათვის. მაშინ, როდესაც საქართველოს მენშევიკები კითხვას აყენებენ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სახით თავის დახმარების შესახებ დენიკინის წინააღმდეგ „ბრძოლაში" ჩრდილოეთ—დაღესტნის საზღვარზე, სწორეთ ამ დროს თვით ის დამხმარეების ხელს უწყობდა ამ უკანასკნელს პროლეტარიატისთვის ძალღონით, ინგლისელებთან შეთანხმებით ბოლშევიკების წინააღმდეგ და, ეძებს გარეშე, ყიდულობდა ინგლისის გენერლის კეთილგანწყობილებას თავის სასარგებლოთ. ასეთი ღალატითა და თვალთმაქცობით იყო გამსჭვალული მთელი პოლიტიკა საქართველოს მენშევიკების: ეს ერთხელ კიდევ და ზედმეტათ გამოაშკარავა ჩვენ მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა, რომლებიც შეიცავენ ინგლისელ გენერლის უოკერის სიტყვას და მიწერ-მოწერას მასა და ჟორდანია-გეგეჭკორს შორის. მენშევიკური მთავრობის სახით ჩვენ საქმე გვქონდა იმპერიალისტური შავი რეაქციის აგენტებთან, რომლებიც თავის „სამეფოს" მდებარეობის გამო წარმოადგენდნენ მუდმივ საფრთხეს მუშათა და გლეხთა ძალა-უფლების განმტკიცებისათვის სამხრეთ რუსეთში და მთელ კავკასიაში, წარმოადგენდნენ საიმედო ყავარჯენს შავი კონტრ-რევოლუციისათვის საბჭოთა მთავრობისა და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა მისი მფარველები დამარცხდნენ სამხედრო ფრონტზე, ბუნებრივია, რომ მათაც გაიზიარეს შესაფერისი ხვედრი. ეს იყო დამარცხება ღალატისა და თვალთმაქცობის პოლიტიკის და კიდევ ერთი გამარჯვება დიდი რევოლუციის.

შავიქვის გაზიდვა იწყება!

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მაჯის ცემა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მრეწველობის ყველა დარგს ეტყობა გამოცოცხლება, ზოგს, ტყავებსაც კი. ზოგ დარგში წარმოების ნაყოფიერებამ ომის წინანდელ დონეს მიაღწია. სახალხო მეურნეობის გაჯანსაღება მომასწავებელია სახალხო მმართველობის გაძლიერების: მაგრდება სოციალისტური მეურნეობის ნიადაგი, მაგრდება პოლიტიკური ზედამხედველობაც, მშრომელთა დიქტატურა. ეს გვავალებს ყველა ძალღონის დაძაბვას, ყველა ძალების მობილიზაციას, რათა აღორძინების აგორებული ტალღა არ შეჩერდეს, წინსვლა და დაწინაურება გადალახვა არ შეიწყდეს. საბჭოთა ხელისუფლების მიზანშეწონილი ეკონომიური პოლიტიკა და მუშათა კლასის თავდადებული, ხალისიანი შრომა უკვე საფუძველს ჩვენს ეკონომიურ აღორძინებას. ეს საფუძველი კიდევ უფრო გამაგრებულ უნდა იქნას.. რა ღონისძიებით, რა ხერხით და საშუალებით საჭირო ამ მიზნის მისაღწევათ?

საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკაში განსაკუთრებული როლი აქვს შინაგანი ე. წ. დარტყმითი, შეტევითი მეთოდს: მრეწველობის რომელიმე წერტილი ითხოვს ამ წამში დაუყოვნებლივ განმტკიცებას, იქითკენ გადაიხრება საბჭოთა ორგანოების და მშრომელი პარტიის მთელი ყურადღება, იქითკენ მიიზიდება ყველა ძალები. რომელიმე დარგი თავისთავად იქცევა და ასეთი რთული მანევრის შედეგია ხოლმე ძირითადი ამოცანის დარგის გამოცოცხლება და ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა.

ასეთი მანევრის წყალობით საბჭოთა მთავრობამ შესძლო სულ მოკლე დროში ტყიბულის მაღაროების აღდგენა და ნაყოფიერად ამუშავება. ეს დარგი უზრუნველყოფილ იქნა სურსათ-სანოვაგით, სათანადო თანხით, ყველა საჭირო ტექნიკური მასალით: ყოველივე ეს გახლავთ სპეციალისტების ცოდნა - გამოცდილებამ, მუშების თავგანწირვამ და მენშევიკების დროს წყლით წალეკილ მაღაროებში დიდი ხანია გაჩნდა შრომა და ეს ისე ნაყოფიერად, რომ ქვანახშირის ამოღებამ გადააცილა ბევრათ ომის წინა დროის ამოღებას. ჩვენი მრეწველობის მეორე და უმთავრესი დარგია შავიქვის ამოღების და გატანის წარმოება. მთელი წლობით მოდუნებულ და შეჩერებულ წარმოებას ახლა გამოცოცხლება ეტყობა, იწყება საზღვარგარეთ გატანა მარგანეცის, ამ ჩვენი მთავარი სავალუტო საქონლის. ბათუმში და ფოთში უკვე იტვირთებიან უცხოეთის გემები. ფოთის სანაპიროზე მოვალი მილიონი ფუთი მომარაგებული ამ ძვირფასი შავიქვის, საჭიროა კონტრაქტით 100 ათასი ფუთი ახლად მოტანილი ქვის მიმართ ძველ მარაგიდან გასაგზავნად რომელსაც ბასთან მის „გასაიდიდოებლათ", ე. ი. საჭირო თვისების აღდგენათ. ეს 100 ათასი ფუთი სასწრაფოთ გადაზიდულ უნდა იქნეს [illegible], რისთვისაც აუცილებელია სასწრაფოთ მოწყობა და აღჭურვება შესაფერისი აპარატის შორაპანში და ფოთში. ცალკეულ ალაგზე ასეთი აპარატის მოწყობა არც ისე ადვილია, მაგრამ თუ ჩვენ აქაც „შეტევის" ტაქტიკას დავადგებით, შეუძლებლად დავასრულებთ საქმის სიძნელე სირთულეს. [illegible] კოოპერატივის დახმარებით, საჭიროა [illegible] გასაკეთებლად, როგორც რკინისგზა ისე [illegible] სასახელოდ შესრულებულ დავალებას.

რაც შეეხება მუშა-ძალას, პირდაპირ საჭიროა თავგამოდებით [illegible] ვართ: ვისაც კი ოდესმე დამოკიდებულება აქვს შავიქვის გატანის საქმესთან, ერთხმად აღიარებენ და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ არასოდეს ისეთი ხალისით, ასე ნაყოფიერათ არ უმუშავნიათ მუშებს, როგორც ახლა. თვალსაჩინოებით, გაოცებით აღნიშნავენ ამას უცხოელებიც. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი შემთხვევა, რომელსაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი. ერთი უცხოეთის გემი მოადგა ბათუმის ნავსადგურს. განტვირთვის შემდეგ ის უნდა დაეტვირთათ შავი ქვით. კაპიტანს უთხრეს, თქვენ ფოთში უნდა წახვიდეთ, იქ განტვირთოთ და იქვე უნდა დატვირთოთ გემი მარგანეცით. კაპიტანმა სათანადო გასამრჯელო მოითხოვა ზედმეტი დროის დაკარგვის გამო, რაზედაც თანხმობა მიიღო. ფოთში მისვლისას მუშებმა მისი გემი ერთ დღე-ღამეში დაცალიერეს, ვიდრე ამას მოელოდა კაპიტანი და დატვირთვას შეუდგნენ იმ ენერგიით. გაოცებულმა კაპიტანმა განაცხადა: ასეთ მუშების დამნახველი მე უარს ვამბობ „ნეუსტოიკაზე".

რადაც არ დაჯდეს, საბჭოთა მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს ასეთი მუშები სურსათ სანოვაგით, დროზე მიაწოდოს ხელფასი, გამოძებნოს მათთვის საწარმოო ტანისამოსი და სხ.

მარგანეცის გაზიდვის საქმე „შეტევითი" საქმედ უნდა იქნეს აღიარებული.

საბჭოთა ორგანოების ამ წილზე გაშვებულა, შეერთებული მუშების თავგანწირულ შრომასთან, აღორძინების და ახალ ვენების სისხლს აჩქარებს სოციალისტურ საქართველოს ტანის სისხლის მილებში და ეკონომიურ კრიზისს საზღვარს დაუდებს.

მეტი გაზრდილი შავი ქვა—მეტი უზრუნველყოფის და ძალღონეს მომასწავებელია საქართველოს მშრომელთათვის.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ომამდელ ალებულ ვალების ცნობის შესახებ

საბჭოთა მთავრობამ გადასცა ანტანტის მთავრობებს სახალხო საგარეო საქმეთა კომისრის ხელმოწერილი განცხადება, რომელშიდაც ის გამოსთქვამს თავის პრინციპიალურ თანხმობას იცნოს ომამდელი აღებული მეფის მთავრობის ვალები თუ მოკავშირეები საერთო საზავო ხელშეკრულებას დაიდებენ საბჭოთა რუსეთთან და მისცემენ შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო კრედიტებს. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, სადაც ანტანტის სახელმწიფოები განაცხადებენ თავის პრეტენზიებს და საბჭოთა მთავრობა წარადგენს კონტრ-მოთხოვნებს ამ კონფერენციაზე, რომელიც მოაწესრიგებს საბჭოთა რუსეთსა და მის ყოფილ მოკავშირეებს შორის სადავო საკითხებს. საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი მოითხოვს მთელ რიგ ახსნა-განმარტებას, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი და როგორც დიდი ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში.

მალე შესრულდება 4 წელიწადი, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა გააუქმეს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალა უფლება.

ბურჟუაზიული ქვეყანა შეირყა ამ დიდი ისტორიული ფაქტის გაგონებით და თავს იიმედებდა მხოლოდ იმ ფიქრით, რომ არ გაივლის რამოდენიმე კვირა და მუშა-გლეხების ხელის უფლება გაისრისება. მოკავშირეებს ოფიციალურათ ლაპარაკიც არ სურდა ჩვენთან. გაიარა კვირეებმა კი არა—თვეებმა. საბჭოთა მთავრობამ გადაიტანა ბრესტის ზავისაგან შექმნილი მეტად დიდი კრიზისი, მიუხედავათ იმისა, რომ უხდებოდა ცხოვრება გერმანიის სამხედრო რეჟიმის შიშის ქვეშ და პურის სამშობლო სამხრეთ რუსეთი დაჭერილი იყო გერმანიის ჯარების მიერ. როდესაც მოკავშირეებმა გადასწყვიტეს დაეწყოთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელის უფლება უკვე ღრმად იდგამდა ფესვებს ხალხში. ის, რასაც [illegible] სამოქალაქო ომს დაწყებული ჩეხო-სლოვაკების აჯანყებიდან და გათავებული ვრანგელის ავანტიურით, რესპუბლიკის ყველა ფრონტებზე დიდი ბრძოლები—არსებითად წარმოადგენდა ანტანტის სახელმწიფოების ჯაროსანთა გადაშლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის ბურჟუაზიას თავის საშუალებებით შეეძლო მხოლოდ ტერორისტულ თავდასხმების მოწყობა და აქა იქ წვრილი უკმაყოფილებების გამოწვევა.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად საჭირო იყო დახმარება მოკავშირეებისაგან, რომლებიც ხან ჯარებს [illegible] თეთრი არმიის [illegible] პირების შესაბამისად. [illegible] საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

იმ მომენტიდან, როდესაც მოკავშირეებმა შესწყვიტეს თვითონ ჯარების ფულით დახმარება, რუსეთის კონტრ-რევოლუციამ, მიუხედავად ისეთი განუსაზღვრელი სიმდიდრისა რუსეთის [illegible] მხარეებით, ვერ შესძლო ომის დაწყება ჩვენს წინააღმდეგ; და ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ჩვენ დავამარცხეთ არა თუ რუსეთის თეთრგვარდიელები, არამედ გავიმარჯვეთ შეიარაღებულ ბრძოლაში ანტანტის ჯარებზეც. მოკავშირეების მოთხოვნა, რომ ჩვენ ვიცნოთ მეფის ძველი ვალები, საუკეთესო დამამტკიცებელია მათი რწმენის: საბჭოთა რუსეთი იყო, არის და იქნება.

მაგრამ მოკავშირეების სამხედრო გამოლაშქრებამ, რომელმაც ვერ შესძლო ჩვენი დამარცხება, გადააქცია რუსეთი წამებისა და ნანგრევების მხარედ. მრეწველობა დაეცა ომის გამო; მრავალი წლების განმავლობაში ის ვერ იღებდა ვერავითარ მანქანებს და იარაღებს; მრეწველობა შერჩენილი ძალებით ემსახურებოდა ომის საჭიროებებს და ამით შესაძლებელი გახადა ჩვენი გამარჯვება. ჩვენ ბოლოსდაც გავიმარჯვეთ, მაგრამ მან ვერ შესძლო გლეხობისათვის მიეცა მისთვის საჭირო საგნები. გლეხობის მეურნეობა არ იღებდა არავითარ იარაღებს და ამავე დროს უნდა ესაზრდოებინა 5 მილიონიანი არმია. მისი შემცირებული წარმოებითი ნაყოფიერება კიდევ უფრო დაეცა. საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია ჩქარი ტემპით აღადგინოს თავის ეკონომიური ცხოვრება მარტო საკუთარი ძალებით. სანამ გრძელდებოდა მსოფლიო ომი დაიმედებული ვიყავით, რომ ის ააფეთქებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს; საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური მოუმზადებლობამ, საერთაშორისო სოციალ დემოკრატიის და პროფესიონალური კავშირთა ბელადების გამცემლური პოლიტიკამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიის გამარჯვებული გამოსულიყო დემობილიზაციის კრიზისიდან მაგრამ ბურჟუაზიის არ შეუძლია ხელახლა მოაწყოს მსოფლიო კაპიტალის ცხოვრება: უდიდესი მსოფლიო კრიზისი, რომელიც შეარყევს კაპიტალიზმის საფუძვლებს, ამის საუკეთესო მოწმეა.

მსოფლიო რევოლუცია ვითარდება, მაგრამ ვითარდება ნელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციას და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეულია 1921 წლის 25 დეკემბრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მოხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.
2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მოხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსთან და წითელ პროფინტერნთან—მოხ. ამხ. ხიზანიშვილი.
4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მოხ. ამხ. ტოროშელიძე.
5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.
6) კოოპერაცია—მოხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
7) სასურსათო პოლიტიკა—მოხს. ამხ. [illegible].
8) საბჭოთა აღმშენებლობის მოკლე ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. მდივანი.
9) ეროვნული საკითხი საქართველოში— მოხს. ამხ. ორჯონიკიძე.
10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მოკლე ამოცანები და პარტიის წესდება—მოხს. ამხ. [illegible].
11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.
12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.
13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.
14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.
15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე. პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან აირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითქმის სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—ორგანიზაცია იგზავნის ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრზე და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეძლევა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის დელეგატებად არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომლებსაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი ორახელაშვილი.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე დონჩენკო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

აუწყებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ კომუნისტურ პარტიის პირველი ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1 დეკემბერს გადატანილია 25 დეკემბრისათვის.

ცეკას მდივანი: ოკუჯავა.

ორგან. განყ. გამგის მოგ. დონჩენკო.

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

III

დამოუკიდებელი ლივრეა

დამოუკიდებელი საქართველო... „სახელმწიფო და საქმე დასაბამიდან არ ყოფილან, ბატონო, ერთმანეთს ასე დაშორებულნი..." დამოუკიდებელი ოკუპაცია—რა შეიძლება იყოს სიტყვების ასეთ ხმარებაზე უფრო წინააღმდეგობით [illegible].

უფლებით თავის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, უნდა ითქვას „მოკავშირე დემოკრატიის" საქმეებად დაუტოვეს ბ.ბ. ჟორდანიას და რამიშვილს, რა თქმა უნდა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობაზედაც ლაპარაკობდნენ, ამ მხრივ ზოგიერთი დაპირებაც კი მისცეს.

მაგრამ „ჩაურევლობა", როგორც ცნობილი დამოუკიდებლობაც, ეკუთვნოდა მითოლოგიის სფეროს. ამას დავამტკიცებთ ჩვენ ამ წერილში.

მისმა მაღალ-აღმატებულებამ ფორესტიე უოკერმა გასუმართა მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, საქმეთა ჭეშმარიტი ვითარება, დიდ სიტყვაში საპარლამენტო დელეგაციის წინაშე. სამწუხაროთ, ადგილის უქონლობა ჩვენ ხელს არ გვაძლევს აქ სავსებით აღვადგინოთ ეს „შესანიშნავი" სიტყვა, წარმოთქმული ბრიტანელ გენერლის მიერ 1919 წლის 4 იანვარს.

თვით ფ. უოკერმა ამ სიტყვის ტექსტი 9 იანვარს გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის პრეზიდენტს ცნობისა და სახელმძღვანელოდ, ამასთან ხაზი გაუსვა, „რომ ის თვალსაზრისი, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი ჩემ სიტყვაში" ამ დოკუმენტში (ლაპარაკია ერთ და იმავეზე. ი. შ.) ეხება მხოლოდ ხანას იმ დრომდე, როდესაც მსოფლიო კონფერენციის წარმომადგენლობა გამოაცხადებს მთელ ამ ქვეყნებს" (ფ. უოკერის წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს).

ბრიტანელ ჯარების სარდალი დასავლეთ ამიერ-კავკასიაში მთელ თავის სიტყვას გადმოგვცემს 23 თეზისის სახით, რომლებიდან ჩვენ აღვნიშნავთ რამოდენიმეს.

თეზისი მეორე არის გაფრთხილება იმის შესახებ, თუ როგორი არ უნდა იქცეოდეს „დამოუკიდებელი" საქართველო. აი რას იქ ნათქვამი ამის შესახებ: „მოკავშირე სახელმწიფოებს არა აქვთ განზრახვა გვერდი აუხვიონ მცირე ხალხთა თვით-გამორკვევის დიდ პრინციპს. მხოლოდ მაშინ ისინი ხელს, როცა ისინი დგებიან ფაქტის წინაშე, რომ რომელიმე დროებით დამოუკიდებელი ერი თავისი წესიერების დაცვის უნარობით, კინკლაობით და აგრესიული აქტებით და თავისი საკუთარი ღირსების მუდმივი ბავშური და ზედმეტი გაზვიადებითაც კი გამოაჩენს, რომ ეს მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის შესაძლებელ საშიშროებას წარმოადგენს.

ასეთ ერს დიდი სახელმწიფოები ვერ მოითმენენ, რადგან მათ გადასწყვიტეს, რომ უნდა იქნას დაცული მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობა".

გრძელი სიტყვების მოკლე აზრი ასეთია: დამოუკიდებლობა, თვითგამორკვევა და სხვა დანარჩენი დემოკრატიული ლოზუნგები დროებით არ არიან გამოსადეგნი ხმარებისათვის.

მაგრამ ვაი თქვენ, თუ მთელ ამას სერიოზულად მიიღებთ და შეეცდებით როგორი ფორმითაც გინდათ დაიცვათ ხმა „საკუთარი ღირსებაზე" და სხვა ასეთ წვრილმანების შესახებ:

— „დიდი სახელმწიფონი ვერ მოითმენენ!"

ეს მრისხანე დამახსოვრებელი ბატონებისა მენშევიკურ საქართველოს არსებობის სულ ბოლო დრომდე, გაისმოდა ბ.ბ. ჟორდანიას და კამპანიის ლაქიურ ყურებში და მიმართულებას აძლევდა მათი საგარეო და შინაურ პოლიტიკას.

§ 4 ლაპარაკობს მოკავშირე სახელმწიფოების ნამდვილ მტრებზე კავკასიაში, ასეთები არიან: 1) ოსმალები, 2) გერმანელები, 3) „ბოლშევიზმი, რომლის მოსპობა გადასწყვიტეს დიდმა სახელმწიფოებმა, სადაც და რა დროსაც ის არ უნდა გამოჩნდეს. ვინაიდან იგი ეუკურება მსოფლიოს მშვიდობიანობას, რომლის დაცვა-რებაც მათ აქვთ გადაწყვეტილი"; 4) „ისინი, ვინც არ დაემორჩილებიან ან არ შეუძლია თავის ქვეყანაში წესიერება დაამყაროს".

§ მე-5-ს აქვს ცალკე სათაური „ინგლისელ ჯარების ყოფნა საქართველოში", სხვა სიტყვებით, ლაპარაკია საქართველოს ოკუპაციაზე. მოვიყვანთ იგი სრულად: „ჩემი დაკისრებულ ამოცანის ასასრულებლად, მე, საქართველოს რესპუბლიკის თანახმად, ჯარები დავძარი თბილისისაკენ. თბილისი წარმოადგენს ამიერ კავკასიის უდიდეს სტრატეგიულ ცენტრს, და მე არ შემიძლია ავასრულო ჩემი ინსტრუქციები კანონიერების და წესიერების დაცვის შესახებ, თუ აქ ჯარები არ მეყოლება.

ამგვარად, მე უკვე გამოვგზავნე ჯარების ნაწილი და, მთავრობასთან შეთანხმებით, რომელიც ვფიქრობ არ დააყოვნებს, ჯარებს კიდევ გამოვგზავნი ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაბადებულიყო გაუგებრობა, რომლის გარკვევაც მე ვსარგებლობ პირველი შესაძლებლობით. არ არის მართალი აზრი, რომ ბრიგადა, რომლისათვის მე უკვე ვითხოვე ბილეთები, იქნება ერთად-ერთი ჯარი, რომელსაც მე გამოვგზავნი პირიქით, მე უეჭველად კიდევ გამოვგზავნი".

საქართველოს ოკუპაცია მოკავშირეების მიერ, ამ გვარად, მოხდა საქართველოს მთავრობის თანხმობით, რომელიც, როგორც სჩანს ზემოთ მოყვანილ ციტატიდან, დაფიქრიანებულია, რომ მოკავშირეებმა მარტო ერთი ბრიგადა გამოგზავნეს.

§§ 6 და 7 ეხებიან საკითხს ეგრედ წოდებულ ჩაურევლობაზე ქვეყნის მმართველობაში. მუშათა მასსების წინაშე ქართველ მენშევიკებს უყვარდათ მათ მიერ მიღწეულ გამარჯვებათა გამოფენა საქართველოს დამოკიდებლობის უზრუნველყოფის აზრით მის შინაურ პოლიტიკაში.

საქმით დამპყრობლებმა ეს ფიქტიური ჩაურევლობა უზრუნველყვეს მხოლოდ პირობით, მხოლოდ რამდენიმეთ უოკერი პირდაპირ ლაპარაკობს:

მე არ ჩავერევი თქვენს შინაურ საქმეებში. მაგრამ „თუ ადგილი ექნა უწესობებს, მე ზომების მიღება დამჭირდება". მე არ ჩავერევი, მაგრამ „თუ ბოლშევიზმი გამოჩნდება, უნდა შევებრძოლო მას".

აქ ეს აღნიშნული ბუკვალურობა უზრუნველყოფილ იქნას „ჩემი მიმოსვლის ხაზის უშიშროებაზე". ლაპარაკია თბილისი ბათუმის ხაზის შესახებ. მალე ინგლისელებმა თავის კონტროლ ქვეშ აიღეს ამიერ კავკასიის მთელი რკინის გზები.

§ 21 ეხება ამავეს სოჭის ოლქში. მოგვყავს ეს ტექსტი სავსებით:

„ეოლოვ საქმე, გაუგებრობით წარმოშობილი, იყო საქმე, რომელიც ეხება შავ ზღვაზე სოჭის მაზრის დაცლას ქართველი ჯარების მიერ და ცნობებს ამ მაზრის დაკავებისა რუსეთის მოხალისეთა არმიის მიერ.

მე დღევანდლამდე არ ვიცი დავის ჭეშმარიტი მიზეზი. რამდენადაც მე გამეგება, საქართველოს მთავრობა მოილაპარაკა პოლკოვნიკ ჟორდანს, და შემდეგ პოლკოვნიკი ჟორდანი ამბობდა, რომ საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო განსაზღვრული პირობები, გადმოვეგზავნე ჩემთვის მოსაწონებლად და გენერალ დენიკინისათვის შესატყობინებლად.

ამ პირობების თანახმად, ქართველებს, რომლებიც იმყოფებიან ახლა მიდამოებში, უნდა დაეცალათ სოჭის მაზრა, მაგრამ რუსებსაც არ უნდა დაეჭირათ იგი. (დოკუმენტში გამოტოვებულია). საქართველოს მთავრობამ პოლკოვნიკ ჟორდანის პროტესტი განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ თუმცა მათ აასრულეს პირობები და მაზრა დასცალეს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რუსებმა მათ შემდეგ მიღწეულ შეთანხმების წინააღმდეგ, დაიკავეს მაზრა. **მაგრამ მე უნდა აღვნიშნო, რომ შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული. ხოლო დიდი, რომ ჩამოყალიბებულ იქნა პირობები, რომლებზედაც იმედი მქონდა, რომ გენერალი დენიკინი დასთანხმდებოდა.**

ამ პირობებს არც კი მიუღწევია ჩემამდე ბათუმში, არამედ გაეგზავნა დენიკინს, ხოლო გენერალ დენიკინთან ახლანდელ დროში ურთიერთობის გაბმა საკმაო დროს მოითხოვს. თუმცა საქართველოს მთავრობის სწრაფი მოქმედება სადავო ტერიტორიიდან თავის ჯარის გაყვანაში დიდი ქების ღირსია, მაინც მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას ამ საქმეებში მოთმინებიანობა მიიღოთ დროის და სივრცის საკითხი და მიმოსვლის სავალალო პირობები დღევანდელ დროში".

ეს მეტად განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან მასში უოკერი ცხადად და გარკვეულად აყენებს საკითხს საქართველოსა და მოხალისეთა არმიისადმი დამოკიდებულებაზე.

ძველები იტყოდნენ: რაც იუპიტერს შეუძლია ჩაიდინოს, იმის უფლება ხარს არ აქვს. უოკერმა ეს თქმულება ამგვარად გადაასხვაფერა: რაც ნებადართულია მსხვილ ბურჟუაზიულ თეთრ-გვარდიელისათვის, ამაზე ნება არ მიეცემა წვრილ ბურჟუაზიულ მენშევიკურ მაჩანჩალას. ბრძანება სოჭის ოლქის დაცლის შესახებ სავალდებულოა მხოლოდ საქართველოსათვის. რაც შეეხება „დიდ რუს პატრიოტს", იმის პასუხს ბრიტანელი სარდლობა მოთმინებით მოელის.

უოკერის ამ პოზიციით წინასწარ ისაზღვრებოდა მდგომარეობა შავიზღვის ნაპირებზე, რომელიც გრძელდებოდა 1919 წლის შემოდგომამდე.

მოხალისეთა არმია, სოჭის ოლქის დაჭერის შემდეგ, მალე ამჟღავნებს მისწრაფებას აფხაზეთში შეჭრისას. იწყება სამხედრო მოქმედებანი საქართველოსა და მოხალისეთა ჯარს შორის.

მენშევიკები, როცა დარწმუნდნენ, რომ ინგლისელები სრულებით არ ფიქრობენ ზედმოქმედება მოახდინონ დენიკინზე შეტევის შეჩერების აზრით,—მიმართეს სომხეთს, აზერბაიჯანს, ამ ქვეყნების პროლეტარიატს მოწოდებით დახმარების შესახებ.

როდესაც ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, ბაქოს მუშები, თანხმდებიან საერთო ბრძოლაზე მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ, მაგრამ მოითხოვენ მენშევიკებისაგან, რათა მათ შესწყვიტონ მოხალისეთა არმიისადმი დახმარების აღმოჩენა,—ბ. ბ. ვოიტინსკები და კამპანია შეურაცხყოფილ გამომეტყველებას იღებდენ და დიდი ღირსებით მიუთითებდნენ, რომ მსგავსი მოთხოვნანი წარმოადგენენ ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში. ამ ვოიტინსკებმა დიდი სითამამე გამოიჩინეს ამის გამო ბაქოს მუშებთან მოლაპარაკების დროს. ქართველი მენშევიკები მოითხოვდნენ ბაქოს პროლეტარიატისაგან, რათა ამ უკანასკნელს მხარი დაეჭირა მოხალისეთა არმიასთან ბრძოლაში საქართველოს დამფუძნებელ კრებისა და საქართველოს მთავრობისათვის.

ქართველი მენშევიკები საქმით არც კი ფიქრობდნენ სერიოზულ ბრძოლაზე მოხალისეთა არმიასთან. მათ მიერ იმ დროს დაყენებული კამპანია მიზნად ისახავდა წინდაწინ ანტანტისტურ მიზნებს. მენშევიკებს იმედი ჰქონდათ, მუშებით მოკავშირეების დაშინებისა, რათა უკანასკნელნი დათმობაზე წასულიყვნენ. მენშევიკებს არც კი შეუწყვეტიათ მაშინ დახმარების აღმოჩენა მოხალისეთა ლაშქრისათვის, რაც სჩანს შემდეგი საბუთებიდან.

მენშევიკური საქართველოს დახმარება მოხალისეთა არმიისადმი 1921 წ. იანვარსა და თებერვალში.

დოკუმენტი № 1.

№ 140. მის აღმატებულებას, საქართველოს მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრს.

თქვენო აღმატებულებავ!

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ შემდეგი ჯარები, 28 ამა თვეს, დასტოვებენ ბაქოს და სამი მატარებლით გაემგზავრებიან ბათუმით ნოვოროსიისკში.

შინ დაბრუნებული ყუბანელი კაზაკები ბიჩერახოვის რაზმიდან ოფიცრები 22, კაზაკები 608, ცხენები 353, ურმები 22, სამთო ზარბაზნები 2, რუსი ოფიცრები, მიმავალნი დენიკინის არმიასთან შესაერთებლად 36. ამ მატარებლებში იქნება აგრეთვე პარტია ხუთი ბრიტანელ ოფიცრისაგან და 93 სხვა ხარისხისა, რომელნიც შვებულებაში მიემგზავრებიან ინგლისში.

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ თქვენი აღმატებულება მოახდენს განკარგულებას ზემოდ-ხსენებულ ჯარების მოგზაურობის გასაადვილებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

მაქვს პატივი...

ხელმოწერილია: ფორესტიე უოკერი, გენერალ-მაიორი, სარდალი ბრიტანეთის ჯარებისა ამიერ-კავკასიაში.
27 იანვარს 1919 წელს.

დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

დოკუმენტი № 2.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდენტს.

მადლობას გიძღვნით თქვენი წერილისათვის 24 რიცხვის თარიღით ფოთიდან რუსების გენერალ დენიკინთან ნოვოროსიისკში გაგზავნასთან დაკავშირებით.

მე უკვე გავეცი განკარგულება, რათა ეს რუსები გაგზავნილ იქნან ბათუმში ბრიტანეთის გემებზე, საიდანაც ისინი წავლენ ნოვოროსიისკში გენერალ დენიკინის გემებით.

მაქვს პატივი ვიყო თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური.

გენერალი უოკერი

1919 წლის 28 იანვარი, № 140.

დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

დოკუმენტი № 3.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

გარეშე საქმეთა მინისტრი

7 თებერვალს 1919 წ. № 888.

ბრიტანეთის მისიის მეთაურს.

თქვენო აღმატებულებავ.

დამატებად გენერალ მილნისათვის საქართველოს მთავრობის მიერ სიტყვიერად გადაცემულ წინადადებისა, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ნება დართოს გაიარონ ბიჩერახოვის კაზაკებმა ბათუმისაკენ შემდეგი პირობებით:

1. ბიჩერახოვის რაზმის კაზაკები დაკავებულ იქნებიან ბათუმში საქართველოს მთავრობასა და დენიკინის არმიას შორის სოჭის კონფლიქტის საბოლოო ლიკვიდაციამდე.

2. ბრიტანეთის სარდლობა გარანტიას იძლევა, რომ ამ კაზაკების მიერ არავითარი სამხედრო მოქმედებები არ იქნება დაწყებული ბათუმიდან საქართველოს წინააღმდეგ.

3. იმ შემთხვევაში, თუ დენიკინის არმია კონფისკაციას უზამს სოჭში რაიმეს სასურსათო პროდუქტებიდან ან სამხედრო მოწყობილობიდან, უნდა იქნას ანაზღაურებული ბიჩერახოვის ქონებიდან, რომლის შესახებ თქვენ იხსენიებთ უახლეს გამოგზავნილ თქვენს მიმართვაში ამ საქმის გამო.

მაქვს პატივი ვიყო თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური.

გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

დოკუმენტი № 4.

19 თებერვალს 1919 წ.

№ 141-7

თქვენო აღმატებულებავ.

1919 წლის 14 თებერვალს რუსეთის გემი „კონსტანტინე" მოვიდა ფოთში 30 ან 40 შეიარაღებულ კაზაკებით, რომელნიც ბათუმისაკენ მიდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაზაკებს ჰქონდათ წერილი სამხრეთ რუსეთში ბრიტანელ მისიის ოფიცრიდან—მთავარ ოფიცრისადმი ბრიტანელ ჯარების სარდლისადმი ბათუმში,—ისინი დაპატიმრებულ იქნენ საქართველოს ხელისუფალთა მიერ და იარაღ აყრილნი. ვინაიდან მე ვთვლი, რომ ზემოდ ხსენებული ოფიცრები მიემგზავრებოდნენ დიდ ბრიტანეთის გარანტიით, უნდა მოვითხოვო მათი დაუყოვნებლივი განთავისუფლება იარაღით. თუ გემმა, რომლითაც ისინი მოვიდნენ, უკვე დასტოვა ფოთი, ისინი ასეთ შემთხვევაში უნდა გადაეცენ ბრიტანელ ჯარების სარდალს ფოთში.

მე უნდა ვთხოვო თქვენს აღმატებულებას შემატყობინოთ ამისათვის აუცილებელ ზომების მიღების შესახებ.

მაქვს პატივი ვიყო ..... გენერალი უოკერი.

დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

დოკუმენტი № 5.

ტელეფონოგრამა № 1198

20 თებერვალი 1919 წელი

გარეშე საქმეთა მინისტრისაგან

სასწრაფო.

ფოთი.

გარნიზონის უფროსს. ნავსადგურის კომენდანტს. კომისარს.

გაცნობებთ დაუყოვნებლივ ასასრულებლად, რომ 14 თებერვალს გემ „კონსტანტინე"-ზე დაჭერილი კაზაკები უნდა იქნან დაუყოვნებლივ განთავისუფლებული იარაღის დაბრუნებით. თუ ეს გემი უკვე გავიდა ფოთიდან, დაჭერილი კაზაკები იარაღით უნდა გადაეცეს ოფიცერს ბრიტანელ ჯარების სარდალს ფოთში.

ასრულების შესახებ სასწრაფოთ მაცნობეთ დეპეშით.

გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

დედანთან სწორია: (ხელმოწერა).

დოკუმენტი № 6.

21 თებერვალის 1919 წ.

მის აღმატებულებას, ინგლისის მისიის თავმჯდომარეს.

თქვენო აღმატებულებავ.

პასუხად თქვენს პატივცემულ წერილზე 19 თებერვლიდან № 141-7 მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენი ზემოხსენებულ წერილის მიღების დღის გაცემულ იქნა განკარგულება დეპეშით კაზაკების განთავისუფლების შესახებ.

ამასთან გაახლებთ ამის შესახებ გაგზავნილ დეპეშის ასლს.

მიიღეთ... გარეშე საქმეთა მინისტრის მაგიერ საბახტარაშვილი-კანცელარიის დირექტორი [illegible].

ყველა მოყვანილი საბუთები ამოღებულია ჩვენ მიერ საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა 1919 წლის არქივიდან. ადგილის უქონლობა ჩვენ ხელს არ გვაძლევს მოვიყვანოთ კიდევ მთელი რიგი მსგავსი მასალები.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისია შემდეგი დებულების დასამტკიცებლად: სწორედ მაშინ, როცა მოხალისეთა არმია ფაქტიურად იმყოფებოდა მენშევიკურ საქართველოსთან ომის მდგომარეობაში, როდესაც უკანასკნელი მოითხოვდა მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატისაგან დახმარებას დენიკინთან ბრძოლაში, დემოკრატიული საქართველო განაგრძობდა თეთრგვარდიელ გენერლებისადმი ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების აღმოჩენას.

დენიკინისადმი რაზმების გაგზავნაზე ნებართვის მიცემით, მენშევიკები თავიანთ თავს სცემდნენ, თვითონ იმზადებდნენ დაღუპვას. არა მარტო რევოლუციის ინტერესები და სხვა ამ გვარი ყვითელი ინტერნაციონალის რაინდებისათვის უმნიშვნელო ფაქტორები, არამედ წმინდა ეროვნული ხასიათის მოსაზრებები უკარნახებდნენ უთუოთ აუცილებლობას არ დაეთმოთ ასეთ საკითხებში მოკავშირე სარდლობისადმი.

რევოლუციის ინტერესები, აგრეთვე საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის ინტერესები მოითხოვდნენ მენშევიკებისაგან ანტანტასთან ურთიერთობის გაწყვეტას.

მაგრამ მსგავსი საგარეო პოლიტიკა ითხოვდა რევოლუციონურ ენერგიას, სიმტკიცეს, ბრძოლისათვის მზადყოფნას. ასეთი როლისათვის ბ. ბ. ჟორდანია, რამიშვილი არ გამოდგებოდნენ, ლაქიები ბრძოლის უნარს მოკლებულნი არიან. უკიდურეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ, რომ იდრტვინონ, იჩურჩულონ რამე თავის ბატონებზე თავისადმი სიბრალული გამოიწვიონ.

მოკავშირეებმა მშვენივრად გაიგეს თავიანთი პარტნიორების ხასიათი: უოკერმა იცოდა, რომ მენშევიკების სახით მას ჰყავს თავდადებული ლაქიები, რომელნიც მზად არიან ყოველგვარ სამსახურისათვის, ყოველგვარ პროვოკაციაზე, თუ მხოლოდ კარგად შეაქებთ მათ.

მან იცოდა, რომ მენშევიკური საქართველო, რომელსაც თავი დამოუკიდებლად მოჰქონდა, ნამდვილად არის „დამოუკიდებელი" ლივრეა და მას ამგვარად ეპყრობოდა...

ა. შაფირო.

ტემპით. საბჭოთა რუსეთმა უკვე მიიღო მისგან დახმარება: ეს დახმარება იყო ის ბრძოლა, რომელსაც საერთაშორისო მუშათა კლასი აწარმოებდა ინტერვენციის წინააღმდეგ და რომელმაც მეტად გაგვიადვილა გამარჯვება. მაგრამ ჩვენი მანქანებით დახმარება კიდევ არ შეუძლია მუშათა კლასს; წარმოების იარაღები კიდევ მსოფლიო ბურჟუაზიის ხელშია.

ხედავდა რა ამას საბჭოთა მთავრობა ბრესტის მოლაპარაკების შემდეგ შეუჩერებლივ წინადადებას აძლევდა კაპიტალისტურ მთავრობებს ხელშეკრულების დასადებად. მოკავშირეების ინტერვენციის დაწყების შემდეგაც ის ცდილობდა გამოეყენებინა მოკავშირეების ყოველი დამარცხება, წითელი ჯარის ყოველი გამარჯვება, რომ გამოეწვია ისინი ზავის და ხელშეკრულების წინადადებით. ის უფრო აჩქარებდა რუსეთის მშრომელი ხალხის სახელს; ის ფიქრობდა, რომ უკეთესია ზავი ერთი მძიმე პირობების გადატანა, ვიდრე დაურული ბრძოლის წარმოება და ამით ხალხურ მასსების ეკონომიური კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუარესება. ამ წლის მარტში დიდ სახელმწიფოებში და ინგლისში პირველმა შეიგნო, რომ მას არ შეეძლია ომის წარმოება. მან დადო ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულება. საფრანგეთს კიდევ ჰქონდა იმედი ხან პოლონეთის იარაღის და ხან ვრანგელის გამარჯვების; ვრანგელის დამარცხების შემდეგ საფრანგეთსაც ემჩნევა გადახრა. 1920 წ. 21 ნოემბრის ბრიანის ნოტა, რომელშიდაც ის მოითხოვდა ინგლისის მთავრობისაგან რუსეთის ვალების შესახებ საკითხის დაყენებას, როგორც საზავო მოლაპარაკების დაყენების პირობებს, ადასტურებს საფრანგეთის პოლიტიკის გადახრას. მაგრამ ინგლისის მთავრობა არ უჭერდა ამ საკითხის დასმას, რომ უფრო განმტკიცებოდა რუსეთი საფრანგეთის გან და ამ უკანასკნელის მთავრობა კი თითონ უარს ამბობდა საბოლოო მშვიდობიან პოლიტიკის წარმოებაზე საბჭოთა რუსეთის წინაართ. სახალხო უბედურებამ, ვოლგის მაზრების შიმშილობამ, აიძულა საფრანგეთი აშკარათ კონკრეტულად დაესვა საკითხი რუსეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ, რასაკვირველია, იმ სითვის კი არა, რომ საფრანგეთი, კაცთმოყვარეობის გრძნობით აღტაცებული, იჩქაროდა დახმარების გაწევას დამშეული რუსეთისთვის. არა, ბრიანს უნდოდა საბოლოო მოეწყო ეგვარ დახმარებისათვის; რუსეთის შიმშილმა მას კიდევ ერთხელ აღუძრა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედები. ამ იმედების შედეგი იყო ცდა, რომ ჩაეთრია ომში ჩვენ წინააღმდეგ პოლონეთი და რუმინეთი. მაგრამ 16 აგვისტოს ლოიდ-ჯორჯის სიტყვამ ფრანგებს თვალები აუხილა: დარწმუნდნენ, რომ თუ ისინი ვერ შესძლებენ შიმშილის საშიშველი ხელით საბჭოთა რუსეთის გაძევებას და შეეცადონ დასამარებას, მაშინ ინგლისის კაპიტალი გამოიყენებდა ამ შიმშილს ეკონომიური დახმარებისათვის და ხელში ჩაიგდებდა რუსეთის ბაზრის მონოპოლიას.

საფრანგეთმა იცოდა, რომ ინგლისისა და საბჭოთა რუსეთის შორის, თუმცა არა ოფიციალურად, მაგრამ მაინც, დაიწყო მოლაპარაკება ვალების შესახებ. მაშინ საფრანგეთმა, პოლონეთის ომში ჩათრევის ცდის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, გადასწყვიტა მიემხრო ინგლისი, რომ საბჭოთა მთავრობას ეცნო მეფის ვალები. მან ამ მიზნისათვის გამოიყენა ვაშინგტონის კონფერენცია. საფრანგეთის მთავრობამ მოქარით, რომ ის ხმარს დაუჭერდა ამერიკას ინგლისის წინააღმდეგ წყნარი ოკეანეს საკითხში, აიძულა ინგლისის მთავრობა, რომელიც ნაკლებად დაინტერესებული იყო მეფის ვალების საკითხში და რომ ლიბსაც მეფის მთავრობა ილებდა განსაკუთრებით საფრანგეთში, შეთანხმებოდა ამ საკითხში საფრანგეთს. ბრიუსელის კონფერენციამ განუცხადა საბჭოთა მთავრობას, რომ მოკავშირენი მისცემენ შიმშილის წინააღმდეგ საჭირო კრედიტებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობა იცნობს მეფის ვალებს.

ეს მოთხოვნა შეიცავს ყველა იმისას, რასაც მოკავშირეები ლაპარაკობდნენ რუსეთის შიმშილის გამოყენებაზე, რომ ისარგებლონ ამ შემთხვევით და მოსთხოვონ ვალების გადახდა. ეს მოთხოვნა სწორედ ის ჯოჯოხეთური გეგმაა, რომელზედაც ლაპარაკობდა ლოიდ ჯორჯი 16 აგვისტოს, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იცის, რომ მას საქმე აქვს ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებთან. ის ერთი წამითაც არ ელოდა ანტანტის კაპიტალისტებისაგან რაიმე კაცთ-მოყვარეობას რუსეთის გლეხებისა და მუშების მასსების მიმართ; ის ელოდა, რომ მოკავშირეები არ შეეცდებოდნენ, მოითხოვონ ვალების ცნობა შიმშილისაგან მომაკვდავ რუსეთის ძარღველი მასსებიდან. საბჭოთა მთავრობა ამიტომ აცხადებს: იმისათვის, რომ გადავარჩინოთ შიმშილის სიკვდილისაგან მილიონები, რომ დაჩქარდეს მოკავშირეთა ინტერვენციისაგან დანგრეული ძარღვის აღდგენა, ის ახლა მზადაა ტვირთულ მას ეძის საბელით აიღოს თავის-თავზე ძველი ვალების გადახდის ვალდებულება. თვით ქვეყნის მუშათა მასსების წინაშე ის აცხადებს, რომ ის, მსოფლიო კაპიტალზე უფრო სუსტი, ახლა ძალა რუსეთის მშრომელ მასსებს ახდევინებს მსოფლიო კონტრიბუციას ეგვარი თავის-თავზე იმ რუსულიდან, რასაც მშრომელი მუშა და გლეხი შექმნის თავის შრომით. თან ამბობს რა ამაზე, საბჭოთა მთავრობა კი ერთ სიტყვასაც არ ცვლის ყველა იმისგან, რასაც ის ამბობდა: არც ერთი ხალხი არ არის ვალდებული, გადაიხადოს თავისი მონობის ფასი. საბჭოთა მთავრობა უარყოფს იმ პრეტენზიას, რომ ხალხი, რომელიც ეხლა აცხადებს ფულის გადახდას საეკონომიებისათვის, სახაზინოებისათვის, მეფის მოღალატეებისათვის, რომელმაც იგივე ყანა საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტა და ხგრეგამდე, ვერ დაიმსახურებს ღირსებას, როდესაც ის ამბობს: დახმარებისათვის, რომელიც კი გამოიწვია სახლების ასაშენებლათ, რკინიგზების გასაყვანათ, ქვიშის მოსათხრელად მე მზად ვარ გადავიხადო. მუშათა მასსების სახელმწიფო მორალი არ არის მსოფლიო ბურჟუაზიის მორალი. მსოფლიო ბურჟუაზია უფრო ძლიერია და ჩვენ ამას ანგარიშს ვუწევთ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ფაქტს, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბანკირები თხოულობენ ინგლისისა და ამერიკისაგან მოსპონ მათი ვალები, იმ დროს, როდესაც მდიდარი ინგლისი ცდილობს ვალების პატიებას ამერიკის კაპიტალისაგან, ისინი მოითხოვენ მშიერ და ღატაკ საბჭოთა რუსეთისაგან მეფის ვალების ცნობას. საბჭოთა რუსეთი მზად არის გადაიხადოს ეს ვალი მაშინ, როდესაც ის ამას შეძლებს, როდესაც ის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობით კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ახალი სესხების დახმარებით წინ წასწევს საკუთარ მეურნეობას და აიწევს ცხოვრების საქმეს.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ვალების ცნობა თხოულობს ამავე დროს საბჭოთა რუსეთის ცნობას მოკავშირეებისაგან. უამისოდ ჩვენგან ვალების ცნობას არ ექნებოდა არავითარი საერთაშორისო ღირებულება. თამასუქს, რომელსაც ხელს აწერს ჯერ არ ცნობილი მთავრობა, არ მიიღებს არც ერთი ბანკი. თუ მოითხოვენ სახელმწიფო ვალების ცნობას, ამით მოკავშირეები დღიურ წესრიგში აყენებენ საბჭოთა ხელისუფლების ცნობის საკითხს. რუსეთის სახელმწიფო ვალი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მისი ნატურალური სიმდიდრით. მოკავშირეებმა იციან, რომ ჩვენ დღეხანს კიდევ ჩვენი ვალების გადახდა არ შეგვიძლია არაფრით, გარდა რუსეთის ნატურალურ სიმდიდრეთა კონცესიებით, რომლის მიწაშიც ჩაფლულია უდიდესი სიმდიდრე. რუსეთი არ უნდა იქნეს გაყოფისა და განაწილების საგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკავშირეები შეუძლებლად გახდიან საბჭოთა რუსეთისათვის აღებულ ვალდებულებების შესრულებას. საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ქვეყნდება მარტო ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ კი არა, არამედ ვაშინგტონის კონფერენციის დაწყებამდეც, რომელზედაც საჯარო ვაჭრობის ერთ საგნად იქნება აღმოსავლეთი ციმბირი.

მოკავშირეების წინაშე დგას ეხლა მთელი სიცხადით და გარკვეულობით კითხვა: უნდათ თუ არა მათ რუსეთის ეკონომიურ აღორძინებას ხელი შეუწყონ, იმ რუსეთს რა სახითაც ის დღეს არსებობს ოქტომბრის გამარჯვების პირობებში მისი არსებობის 4 წლის ბრძოლის შემდეგ, რომ აღორძინებულ ქვეყნიდან მიიღონ მოგება. თუ იმათ უნდათ ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელიც ჩვენ ვერ დაგვამარცხებს, მაგრამ მიაყენებს ბევრ მწუხარებას და წამებას რუსეთის მშრომელ მასსებს, მსოფლიო კაპიტალს კი—ზარალს და დანაკლისს.

ასე დგას კითხვა.

კ. რადეკი.

„პრავდა".

ოქტომბრის რევოლუციის მე-4 წლის თავი

მზისა და ელექტრონის დღესასწაული

1 რაიონი.

ნაძალადევის მოედანზე.

1 რაიონის მუშათა და სხვა ორგანიზაციების შეკრება, დანიშნული ნაძალადევის მოედანზე, დაიწყო დილის 9 საათიდანვე. შეკრების ცენტრალურ პუნქტათ იყო სკვერი პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის შენობის წინ, რომელიც ბრწყინავდა თავისი სითეთრით, განათებული კაშკაშა მზის სხივებით. აქ იდგა გასახსნელათ მომზადებული კარლ მარქსის ძეგლი, ჯერ ტილოთი გადაფარებული. დილის 10 საათზე მთელი მოედანი უკვე სავსე იყო ხალხით და მუშათა ორგანიზაციებით. ძეგლთან, მის უკან დადგა ორკესტრი, მარჯვნივ აწყობა-მეკრივეებით დგნენ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები, მარცხნივ მილიციონერების რაზმი, მუშათა ახალგაზრდობა და სხვა.

ზეიმს ხსნის ამხ. ომოლაძე. მოკლე სიტყვით, ქართულ ენაზე იგი ულოცავს შეკრებილთ დღესასწაულს, ოქტომბრის დიდი რევოლუციის წლის თავს და უხსნის თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რევოლუციისათვის მარქსის მოძღვრებას, რომლის ძეგლსაც აქ ხსნიან მუშები, ორატორის სიტყვა დაფარა ძლიერმა ტაშმა, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს და პროლეტარიატის დიდებულ მეთაურის ბიუსტს ხსნიან გადაფარებული ტილო. ძეგლის გახსნას აღფრთოვანებით ეგებებიან დამსწრენი.

შემდეგ დაიწყო მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბ. მდივანმა, ოქუაშვილმა და სხვებმა, რომლებიც ესალმებიან 7 ნოემბრის დღეს, როგორც პროლეტარიატის დიდებულ დღესასწაულს.

ამხ. ბ. მდივანმა თავის სიტყვაში განმარტა დიდი მსოფლიო მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლუციისა, მის სიტყვას მსმენელნი ხშირათ სწყვეტდნენ ტაშით. არა ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს სიტყვა რკინის გზელ მუშის ოქუაშვილისა—1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობის მონაწილესი, რომელმაც პირველმა გაშალა რევოლუციის დროშა კავკასიაში.

მიტინგის დასასრულს სიტყვები წარმოსთქვეს ქალების განყოფილების წარმომადგენელმა ბიბინეიშვილისამ და კომუნისტურ ახალგაზრდობის წარმომადგენელმა. მიტინგის მთავრების შემდეგ ზეიმის ყველა მონაწილენი მწყობრი მწკრივებით გაემართნენ დიდუბის მოედანზე.

კარლ მარქსის ძეგლის გახსნის გარდა ნაძალადევის მოედანზე, რკინის გზელებმა ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთვის სახსოვრათ გახსნეს თავიანთ რაიონში საბავშო სასადილო და საბავშო სახლი.

2 რაიონი.

ჩერქეზიშვილის მოედანზე.

დილის 10 საათზე ჩერქეზიშვილის მოედანზე, დაღუპულ ამხ. ა. ჯაფარიძის ძეგლის გახსნის ადგილზე გაემართნენ მუშათა ორგანოები წითელი დროშებით. მუშათა ორგანიზაციებს შორის იმყოფებოდნენ არსენალის მუშა მოსამსახურენი, ტრამვაის, ავტოგარაჟის, ავეჯის სახელოსნოების ქალაქის ელექტრონის სადგურის, რკინის გზის სლამბის, საზღვაო სადესანტო სახელოსნოს, თუთუნის ფაბრიკის და სხვის. დილის 11 საათზე მეორე რაიონის პასუხის მგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ნ. ზარიძემ მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და მილოცა დამსწრე საზოგადოებას დიდი ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავი და მისი პირველი დღესასწაულობა საქართველოში. ეს კამ შესრულა ინტერნაციონალი. ამხ. ივანოვმა დახასიათა ამ რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა ოთხი წლის განმავლობაში და მის შემდეგ მოკლეთ დაახასიათა ბრწყინვალე პიროვნება დაღუპულ ამხ. ჯაფარიძისა, როგორც სპეტაკი და სპეტაკი გატაცებული რევოლუციონურ მებრძოლის და პროლეტარიატთა თავგანწირული ბელადისა. ამხ. ივ ნოემბ მოხდა გადაფარებული ტილო ძეგლს. დამსწრენი ოვაციებით მიესალმენ ძეგლის გახსნას.

ეს იკამ შესრულა ინტერნაციონალი, თავის სიტყვის დასასრულში ამხ. ივანოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ფრონტზე გამარჯვების შემდეგ, პროლეტარიატი გაიმარჯვებს სამეურნეო ფრონტზედაც.

პროფკავშირების წარმომადგენელმა ამხ. ნუცუბიძემ თავის სიტყვაში ქართულ ენაზე აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის მნიშვნელობა, განსაკუთრებით საქართველოს პროლეტარიატისთვის, რომლისთვისაც ახლა დადგა ჭეშმარიტი დღე განთავისუფლებისა, ვინაიდან რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ის შეუდგა ახალი ცხოვრების აღშენებას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა წითელ ლაშქრის წარმომადგენელს ამხ. ბრონს, რომელიც აღნიშნავს წითელ ლაშქრის დიდ ღვაწლს რევოლუციის წინაშე. ორატორი რწმენას გამოსთქვამს, რომ როგორც წითელი ლაშქარი იმარჯვებდა ფრონტებზე, აგრეთვე პროლეტარიატიც გაიმარჯვებს სამეურნეო ფრონტზე.

პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი კურულოვი ამბობს, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუციის დღესასწაულს ზეიმობს არა მარტო რუსეთის პროლეტარიატი, არამედ მთელი მსოფლიოს მუშები, როგორც შრომის კაპიტალიზმთან ბრძოლის ნიშანს. ორატორის სიტყვები ფარავენ დამსწრეთა ტაშით და ინტერნაციონალის სიმღერით. მიტინგის გათავების შემდეგ ყველა ორგანიზაციები მწყობრად გაემართნენ დიდუბისაკენ.

მე-3-მე რაიონი.

კახეთის მოედანზე.

დილის 8 საათიდან კახეთის მოედანმა მიიღო სადღესასწაულო სახე. მოედნის გარშემო შენობები ლამაზად იყო მორთული. ამავე დროს აწარმოებს სჩქარო მუშაობა გასახსნელად გამზადებულ ს. შაუმიანის ძეგლის მოსართავად. დილის 10 საათზე მოედანზე დაიწყო მოსვლა დროშებით მუშათა ორგანიზაციებმა, რომლებიც დგებიან ძეგლთან. აქვე სდგებიან საშუალო და დაბალ სასწავლებლის მოწაფეები, სხვა და სხვა თავშესაფარის ბავშვები და მოქალაქეები. 11 საათზე მოედანზე მოვიდნენ ამხ. მახარაძე, რაიონის ჯორბენაძე და სხვ. ამხ. ჯორბენაძე ტრიბუნიდგან მიტინგს გახსნილად აცხადებს, რის შემდეგაც გუნდი და ყველა ორგანიზაციები ასრულებენ ინტერნაციონალს. შემდეგ ჯორბენაძე ლაპარაკობს, დღევანდელ ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლის თავის დღესასწაულის დღეს ხდება რევოლუციის დაღუპულ ბელადის ამხ. ს. შაუმიანის ძეგლის გახსნა და ხსნის ძეგლიდან გადაფარებულ ტილოს, გუნდი სამჯერ ასრულებს ინტერნაციონალს.

ამხ. მ. ხარაძის სიტყვა.

სიტყვა ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელიც თავის სიტყვაში ქართულ ენაზე ლაპარაკობს პროლეტარიატის ბრძოლის ყველა იმ გზა რევიზე, რომელიც მან განიცადა თავის ზეამისა და ოქტომბრის რევოლუციის სრული გამარჯვებისათვის. ყველა კონტრ-რევოლუციონერები, დაწყებული კერენსკიდან, დენიკინიდან და სხვა მენშევიკებთან ერთად, სცდილობდნენ მუშათა და გლეხთა მასსები გადაეყარათ უფსკრულში, მაგრამ წითელი ლაშქრის გმირული სიძლიერის წყალობით რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული ყველა გაჭირვებიდან. მუშებო და გლეხებო, ამთავრებს ორატორი, უნდა შევიკრიბოთ მჭიდრო რიგებით წითელ ლაშქართან, რათა უშიშრად დავიცვათ მონაპოვარი კონტრ-რევოლუციისა.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

შემდეგ გამოდის ამხ. რუბენი, რომელიც განმარტავს ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას, საფრანგეთის დიდმა კომუნამ, ამბობს ორატორი, იარსება სულ 71 დღე, ჩვენ კი გადავიხადეთ 4 წლისთავი და მოვიგეთ მთელ მსოფლიოსათვის გამარჯვების დროშა და პროლეტარიატის განთავისუფლება ბურჟუაზიის უღლისაგან. სხვა ორატორების გამოსვლის შემდეგ მიტინგი თავდება ჯორჯიკიძის სიტყვით, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთის სიძლიერისა და საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირის შესახებ.

მიტინგის შემდეგ ყველა მუშათა ორგანიზაციები და სხვები გაემართნენ დიდუბეში.

მე 4 ე რაიონი. თავისუფლების მოედანი.

დილის 10 საათზე თავისუფლების მოედანზე ქალაქის მე 4 ე რაიონის ყველა კუთხეებიდან დაიწყეს თავის მოყრა სხვა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავიანთი დროშებით და მუსიკებით. 11 საათზე მთელი მოედანი, მიმდებარე ქუჩები სავსე იყო ხალხით შუა მოედანზე აღმართულ ტრიბუნასთან, რომელზედაც იყო საქართველოს კ. პ. ც. კ. დროშა. დასდგნენ პროფწარმოებითი კავშირების წევრები, ხელოვნების მუშაკნი, კომუნალური მუშაკნი პოლიგრაფიულ წარმოებისა აღმშენებელნი და ხის დამუშავებელნი, მეტყევეები, მკერავები, ფეიქარნი საბჭოთა მუშაკნი, მეთამბაქოენი, სახალხო კვების, სახალხო კავშირის, მედიკო სანიტარულ კავშირის, სახალხო კომისარიატების მუშაკნი, იუსტიციის, სასურსათოსი, ფინანსების, ფაბრიკების ს. მ. უ. ს. და გაერთიანებული სავარეო ვაჭრობისა, ცალკე კავკასიის ლაშქრის სამხედრო მოსამსახურეთა კურსების გამოუშვებელნი, კოლექტივის მუშაკნი, თეატრალური საინტენ. სამართველოს 2 ავტომობილი, ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმი, ცენტრალური პარტიული სკოლის მოსწავლეები, ტექნიკუმებისა, №№ 6, 11, 12, 16, 17, 22, 23, 24, 25 და 26, ზურაბოვის სახელობის სომხურ პროფ. სკოლის, „ინჩაქის" პარტიის წევრები და ხალხი. მიტინგის გახსნის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. ფ. კალანდაძე, რომელიც ლაპარაკობს ქართულად. დაახასიათა განვლილი გზა 4 წლის განმავლობაში დღიდან ოქტომბრის რევოლუციისა, ორატორმა აღნიშნა, რომ ეს განვლილი 4 წელი, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ კომუნიზმამდის, საუკეთესო თავდებია იმისა, რომ მალე დადგება კომუნისტურ რევოლუციის ზეიმობა მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნა რა შემდეგ რუსეთის პროლეტარიატის ღვაწლი, რომელიც მან გასწია კომუნისტურ იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, კალანდაძე აცხადებს, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები არიან რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შედეგი და ათავებს სიტყვით „გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას და მსოფლიო კომუნიზმს".

ტრიბუნაზე ადის რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ლეგრანი, რომელიც აღნიშნავს, რომ დღეს შესრულდა ოთხი წელი, იმ დღიდან, როდესაც რუსეთის მუშებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება და მოაწყვეს საბჭოთა სახელმწიფო, ორატორი აღნიშნავს, რომ რუსეთის პროლეტარიატს თავის გამარჯვებისათვის უნდა აეტანა მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოს იერიშები და მან აიტანა კიდეც. მიხვდა რა, რომ აშკარა ომით არ შეიძლება ბრძოლა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მსოფლიო ბურჟუაზიას სურდა ესარგებლა რუსეთის საშინელი შიმშილით და წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. მაგრამ ეს მას არ გაუმართლდა, თუმცა ახლო წარსულში ჩვენ ყოველ წუთს მოველოდით პოლონეთისაგან ომის გამოცხადებას. ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება მშვიდობიანობა ერთი წლის მშვიდობიანობა იქნება მუშათა და გლეხთა ხელის უფლების ზეიმის წელიწადი, ვინაიდგან ერთ წელში ჩვენ შეგვეძლია შევქმნათ ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, რომ ქვეყანა აღორძინდება. ლეგრანი ათავებს: „გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ რევოლუციას, გაუმარჯოს საბჭოთა პოლონეთს, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას—რუსეთს და საქართველოს.

ლეგრანის სიტყვის შემდეგ მიტინგი თავდება და ყველა მონაწილენი მუსიკით და ინტერნაციონალის მღერით გაემართნენ დიდუბეში, სადაც თავს იყრის ყველა ჯარის ნაწილები, მუშათა ორგანიზაციები და ხალხი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საბჭოთა დაწესებულებების გადათვალიერება.

მოსკოვი, 4 ნოემბ. 20 ოქტომბერს რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტთან შედგა საბჭოთა რუსეთის დაწესებულებათა გადამთვალიერებელი კომისია. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ლარინი. პირველი სხდომა შესდგა 25 ოქტომბერს. პირველ რიგში განზრახულია განათლების, სასურსათო კომისარიატების, უმაღლესი სამეურნეო საბჭოსი და სამხედრო უწყების რამდენიმე დაწესებულების გადათვალიერება, კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლარინმა განაცხადა: კომისიის ამოცანებს შეადგენს „მამა ის თავმდებარე" საბჭოთა დაწესებულებებზე, ბათუს ისეთი დარბევის მოწყობა, რომ დარჩეს ცოტა ჩინოვნიკები და რომ საშუალება მიეცეს სახელმწიფოს ფული და სურსათი მიაწოდოს მხოლოდ წარმოების მუშებს, რომლებიც ქმნიან მხარისათვის ახალ საჭირო ღირებულებას. საჭიროა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია, საჭიროა მოურიდებლათ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება თავის თავზე ამ თუ იმ სახელმწიფო ფუნქციების და ორგანოების გაუქმების დროს. პირველმა სხდომამ უკვე დაამტკიცა, რომ მთელი რიგი დაწესებულებებისა და ორგანოებისა მათი აშკარა უსარგებლობის გამო დაუყონებლივ გაუქმდება. მაგალითად განათლების კომისარიატში ირიცხება 1,200,000 კაცი. კომისია ფიქრობს შემოკლებას 400,000 კაცამდე და ამასთანავე დარჩება ყველა შკოლები და მასწავლებლები.

ოქტომბრის წლის თავის დღესასწაული მოსკოვში.

მოსკოვი. 10 ნოემბერი, (რადიო). 6 და 7 ნოემბერს პროლეტარული მოსკოვი მხიარულად დღესასწაულობდა მშრომელთა განთავისუფლების დღეს. დღისით ყველა რაიონებში მოაწყვეს ბავშვების დღესასწაული, რომელსაც დაესწრნენ ბავშვები ათი ათასობით. საღამოს თეატრებში, წარმოებებში და დაწესებულებებში ასი ათასი პროლეტარული მოქალაქეთა მონაწილეობით გაიმართა მოგონების საღამოები, მიტინგები და კონცერტები. რაიონებში სიტყვებით გამოვიდნენ პროლეტარულ რევოლუციის ბელადები: პროხოროვის საქარხ. ქარხანაში—ამხ. ლენინი, ფაბრიკა „ვულკანში"—ამხ. ტროცკი, წითელ პრესნაზე—ამხ. რადეკი. მათი გამოსვლა ყველგან იწვევდა დაუსრულებელ ოვაციებს დიდ თეატრში გამოვიდა სიტყვით ამხ. ლუნაჩარსკი. აისიდორა დუნკანმა პირველად მოსკოვში შეასრულა „ინტერნაციონალი".

კაპიტალიზმის საზოგადოებაში

ამერიკა.

ამერიკის ოქროს მარაგი.

პარიზი. 9 ნოემბერი. (რადიო). გაზ. „ნიუორკ-ჰერალდი", ცნობით ოქტომბრის განმავლობაში შემოტანილია ამერიკაში დიდი ოქროს მარაგი. დაახლოვებითი გამოანგარიშებით ამერიკა ამ ჟამად პატრონობს მთელი მსოფლიოს ოქროს მარაგის 45 პროც.

ინგლისი.

ინგლისელების მკვლელობა.

ნაუენი. 9 ნოემბერი (რადიო). ფრანგული გაზეთების ცნობით ინგლისელების საკმაო რიცხვი მოკლულია სასუნისა და პეშავარის შუა რაიონში. ერთდროულად ამავე დროს მასიგარში მოკლულია 950 ბერძენი და სომეხი.

დემონსტრაცია.

პარიზი. 27 ოქტომბერი. „მატენი" იტყობინება უმუშევართა გრანდიოზულ დემონსტრაციის შესახებ ლონდონში. დემონსტრაცია გათავდა მუშებისა და პოლიციის შეტაკებით.

პოლონეთი

პოლონეთის პროვოკაცია.

მოსკოვი, 7 ნოემ. (რადიო ინგლისურ ენაზე). პოლონეთის გენერალური შტაბმა, რომელიც პოლონეთიდან ფარულად აგზავნიდა ბანდებს უკრაინაზე და მატერიალურად უზრუნველყოფდა მათ, მისცა ერთ-ერთ თავის აგენტს ბანდიტ შიფელს ინსტრუქცია პროვოკაციულად თავდასხმის შესახებ პოლონეთზე უკრაინიდან. პოლონეთის გენერალურ შტაბის მიზანია, შექმნას პოლონეთისათვის საბაბი უკრაინის წინააღმდეგ გამოსასვლელად. თუ ეს პროვოკაცია განხორციელდება, მოსკოვის მთავრობა წინასწარ აცხადებს, რომ ამის ავტორი და პასუხისმგებელია პოლონეთის გენერალური შტაბი. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა პოლონეთში ამხ. კარახანმა ამის გამო განაცხადა პროტესტი და გაფრთხილება.

ფინეთი

შეთქმულება ფინეთში.

ჰელსინგფორსი, 6 ნოემბ. (რადიო). ჰელსინგფორსში აღმოჩენილია კომუნისტური შეთქმულება, რომლის მიზანიც იყო ფინეთის არმიაში დეზორგანიზაციის შეტანა, კამანდირო ოფიცრების მკვლელობა და ძალა უფლების ხელში ჩაგდება. დატუსაღებულია 30 კაცი.

იაპონია

იაპონიის პრემიერის მკვლელობა.

რომი, 7 ნოემბ. (რადიო). იაპონიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტაკაში-ხარა მოკლულია რკინის გზის სადგურზე ტოკიოს ახლო. ტაკაში-ხარა მოკლა ახალგაზრდა კორეელმა, რომელიც დატუსაღებულია. მკვლელობა მოხდა პოლიტიკური ნიადაგზე.

ტოკიო, 7 ნოემ. (რადიო). მთავრობის თავმჯდომარის მკვლელობის გამო იაპონიის მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა.

ქრონიკა

◆ **გემის მოსვლა.** 5 ოქტომბერს ოდესიდგან მოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. გემი „დიმიტრი" 8000 ფუთ სურსათით და 184 მგზავრით; კონსტანტინოპოლიდგან ინგლისის გემი „მლერნელიურ"-ი საქონლით; ოსმალეთის სანაპიროებიდგან 1 მოტორიანი და იალქნიანი ნავი 1000 ფუთ საქონლით, იქიდგან წავიდა მოტორიანი ნავი 3765 ფუთი ხავთით და 510 ფუთი და სხვა და სხვა საქონლით.

◆ **ფოთში ინგლისის გემის მოსვლა შავი ქვის წასაღებად.** 31 ოქტომბერს ფოთის ნავთსადგურში მოვიდა ინგლისის გემი „ოიხა"-ი და დაიწყო შავი ქვის დატვირთვა. გემი წაიღებს 7100 ტონ ჩიათურის შავ ქვას „პიოლიუზიტს", ვინაიდგან ამ გემის თავის დროზე დატვირთვაზეა დამოკიდებული მთავარში შავი ქვის საერთო ექსპორტი, ამის გამო ფოთში გემის მოსვლის დროს იქ გაემგზავრა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ შავი-ქვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. სოლოვიევი, სამთამადნეთველთა უფროსი ინჟ. ი. კ. ყიფშიძე და საზოგადოება „ჩემო"-დან თავმჯდომარის ამხანაგი კ. პ. თევანიშვილი და ინჟ. ი. დ. ბერიძე, მუშურ-გლეხურ ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. კურდღლიშვილი და სხ. კომისიამ გამოხატა საერთო ენა დამტვირთავებთან და დატვირთვა უკვე დაიწყო 1 ოქტომბრიდან, და იმედებად ნაყოფიერად მიმდინარეობს, რომ ნამდვილად 5—6 დღით ვადაზე ადრე დამთავრდება.

◆ **წყალსადენი.** თბილისის ქალ. რევკომის სანიტარიული განყოფილება იტყობინება, ვინაიდგან საჭიროა შეკეთება ავჭალის ქალაქის წყალსადენის სადგურის სამი წყლის საქაჩავისა, რომლებსაც სამი თვის განუწყვეტელ მუშაობით და შესაძლო უქონლობით კლაპანები ძლიერ გაუცვდათ, და ვინაიდგან ქვაბების მილები იწვიან და ყოველთვის უხდებათ მათი ცვლა (გამოსაცვლელის უქონლობის გამო). დროებით ქალაქს შეუმცირდა წყლის მიცემა 250000 ვედრომდე დღე-ღამეში. ამის გამო კრიზისის შესამცირებლად შემოღებულია რაიონულად წყლის მიცემა, ქალაქის ზევითა ნაწილს (რუსთაველის პროს. ზევით, ავლაბარს და ნავთლუღს) ღამის 12-დან დღის 2 საათამდე წყალი მიეცემა მტკვრის მარჯვენა მხარეს და დღის 2—ღამის 12 საათამდე მარცხენა მხარეს; დაბლობებში წყალი იქნება მთელ დღეს. მიღებულია ზომები კლაპანების გასაკეთებლათ და შესაცვლელად.

◆ **ფოთის ნავთსადგურში.** ფოთიდან ჩვენ დეპეშით გვაცნობებენ 6 ნოემბრის თარიღით, რომ განტვირთვის შემდეგ, ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა გემი „ფოლკლენი" რომელმაც იქ მოიტანა ფქვილი, ამხ. კრასინის მიერ ნაყიდი ინგლისში. ფოთის ნავთსადგურში შევიდა ამერიკის გემი „ეზმონდი" 7100 ტონისა, შავი ქვის წასაღებათ. ამ გემს დატვირთავს საზოგადოება „ჩემო".

◆ **სკოლის გარეშე მეცადინეობა.** ახლო მომავალში სახალხო განათლების კომისარიატთან გაიხსნება სკოლის გარეშე მეცადინეობა იმ პირთათვის, რომლებსაც თავის წლოვანებით არ შეუძლიათ იქმნან მიღებული საერთო ტიპის სკოლებში. ყველას, ვისაც სურს ისარგებლოს ამ მეცადინეობით, იწვევენ მისცენ წერილობითი განცხადება სახალხო განათლების კომისარიატში ამხ. პუმპუიძეს და ხეროდინოვს ჩვენებებით.

საბჭოთა მართლმსაჯულება

— 1921 წ. 31 ოქტომბერს ს. ს. ს. რ. უზენაეს რევტრიბუნალმა საჯარო სხდომაზე განიხილა საქმე მილიციონერ აზოტ მელიქ-ეტასოისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ ჩიხლაძის ბინაზე ხაბაკის აწერის დროს მითვისების მიზნით, ზოგიერთი ხაბაკი არ შეიტანა აღნიშნულ სიაში და მიიღო რა მხედველობაში, რომ წინასწარ გამოძიებით მოწმების დაკითხვით სრულიად დამტკიცებულ იქნა ჩადენილი ბოროტმოქმედება და მიიღო რა მხედველობაში მისი ახალგაზრდობა და ის, როგორც მოწმე და სწავლობს დაადგინა: მელიქეტიანცს მიესაჯოს ერთი წლით იძულებითი საზოგადო სამუშაო, პირობით.

თბილისის მაზრის და ქალაქის რევკომის გაერთიანების შესახებ

არა ერთხელ ყოფილა დასმული ეს მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი კითხვა, როგორც თბილისის კომიტეტის კრებაზე ცალკე, აგრეთვე ამავე კომიტეტის და ქალაქის რევკომის გაერთიანებულ კრებებზე, სადაც გამოქანდათ დადგენილებანი, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სრულიად გაერთიანება თბილისის მაზრის რევკომის ქალაქის რევკომთან. ეს ცოტაა, ზოგჯერ კიდევ უფრო შორს წავიდნენ და მოითხოვდნენ არა მარტო რევკომთა გაერთიანებას, არამედ პარტკომთა გაერთიანებასაც ე. ი. თბილისის მაზრის კომიტეტის ქალაქის კომიტეტთან გაერთიანებას. რით არის ყოველივე ეს გამოწვეული? მიზეზები ბევრია მოყვანილი, მაგრამ მათში მთავარს უნდა მივაქციოთ ყურადღება და ერთგვარი ახსნა-განმარტება დავუმატოთ. სხვა მიზეზებთან ერთად მიგვითითებენ, რომ მაზრის რევკომს და პარტკომს არ ძალ უძთ დამოუკიდებლად საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და მისი ჯეროვანი ხელმძღვანელობა, რაც მჟღავნდება აქამომდე ნაუფერის შედეგით. მართლაც მოკლედ მიმოვიხილოთ ეს შედეგები, მაშინ ნათლად დავინახავთ საქმის არსებით მხარეს. მართლია იდეა-

ლურად არ არის მოწყობილი ყოველივე, რაც ძალიან სასურველი იქნებოდა, მაგრამ საერთოდ იდეალურად არაფერი არ არის მოწყობილი და ამას თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს. იმ პირობებში, რა პირობებშიაც უხდებოდა მუშაობა თბილისის მაზრის რევკომს, მეტის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო. მან ჯერაც არ მისცემია ტექნიკური დაბრკოლებების გამო ნორმალური მუშაობის საშუალება პირველად ყოვლისა, როგორც ყოველი სხვა დაწესებულებანი დაბანდებული იყო საორგანიზაციო მუშაობაში, რამაც მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ასეთ ანორმალურ პირობებში ყოფნის დროს ხდებოდა გაურკვევლობა და ყოველივე ამას უნდა მიექცია სათანადო ყურადღება. სწორედ ამ დროს ერთი არანაკლები უბედურება დაატყდა თავს ამ დაწესებულების რევკომის შენობას ცეცხლი წაეკიდა და სრულიად მოულოდნელად დავრჩით ქუჩაში გამოყრილნი. სანამდე შენობას ვიშოვნიდით შესაფერს, ყველაფერი ხაბაკებს კანცელარიის მოვაწესრიგებდით და ასე თუ ისე მუშაობას დავიწყებდით რამდენიმე თვე გავიდა. დავიწყეთ თუ არა მუშაობა იმ დღიდანვე დაიწყეს „დილ გაცრებმა" საარსელი განათლების უწყებიდან, (ვინაიდან შემოხვეულები მე-4—გიმნაზიის შენობაში დავრჩით მოთავსებული ერთი ნაწილი დაწესებულებისა, ხოლო მეორე ნაწილი კი მეორე გიმნაზიის შენობაში,) შემდეგი მოთხოვნილებებით, რომ ხსენებული წელი მოხაწლდა და შენობა გაგვენთავისუფლებინა. ჩვენი მთავარი ყურადღება ჩვენდა უნებლიეთ მიექცა შენობის ძებნას და დაწესებულების ტექნიკურად მოწყობას. როგორც იყო დიდი წვალების შემდეგ მიგვაჩინეს ყოფ. სასტუმრო „ბაზანდი" რომელშიდაც სცხოვრობდნენ სტუდენტები, რომელთათვის უნდა აღმოგვეჩინა სხვა ბინა. როგორც იყო ისინი მოვათავსეთ სხვა ბინაზე და კიდევ ხელმეორედ დავიწყეთ გადაბარგება ახალ ბინაზე, რაც კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდა. ამის შემდეგ გვეგონა, რომ დავიწყებდით ნორმალურ მუშაობას, მაგრამ კიდევ ერთი უბედურება გვეწვია, ერთად ერთი საუკეთესო მომუშავე, გამოცდილი ამხანაგი გამოგვეცალა ხელიდან რევკომის თავმჯდომარე ამხ. ი. მგელაძე, რომელიც ფაქტიურად ღერძი იყო ამ დაწესებულების. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეაჩერა მუშაობა. რაც შეეხება წვრილმან ფაქტებს, ამათ რიცხვი არ აქვთ. ასეთ პირობებში მუშაობდა მაზრის რევკომი, და მიუხედავად ყოველივე ამისა მან მაინც შედარებით სხვა მაზრებზედ შესძლო წინ დამდგარიყო. შესძლო საორგანიზაციო კითხვების მოგვარება, ადგილობრივად რაიონებში მტკიცე ხელის-უფლების დამყარება. არც ერთი რაიონი არ დარჩენილა, რომ იქ გლეხთა უპარტიო ყრილობები არ მოეწყოს და ფართეთ არ გაერკვიოს გლეხებისთვის ყოველივე ის კითხვები, რომელნიც მეტად აინტერესებდათ გლეხობას; აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ვგონებ, მთელ რესპუბლიკაში პირველად ამ მაზრაში გაიხსნა სახალხო სასამართლოები. ამ დღეებში გადაწყვეტილია, მოწვეულ იქმნეს რაიონების და თემის რევკომებთა ყრილობა, სადაც ერთხელ კიდევ დამტკიცდება, რომ თბ. მაზრის რევკომს არ სძინავს და ცოცხალ მუშაობას აწარმოებს და აკეთებს ყოველივეს, რაც ამ პირობებში შეიძლება გაკეთდეს.

გ. დონაძე.

წარმოებითი პროფკავშირებში

წარმოებითი პროფკავშირების რკინისგზელთა შორის.

შესამე კომისიის თაოსნობით, მოხდა ოცდაათ ოქტომბერს თბილისის რკინის გზის კვანძის სხვა და სხვა პროფესიის მუშა მოსამსახურეთა საერთო მასიური კრება, რომელსაც დაესწრო უმეტესი ნაწილი მუშებისა. კრების მიზანი იყო ადგილობრივი კომიტეტის არჩევა. კრება გახსნა კომუნისტ. პარტ. სახელით გერ. თოდრიამ. მან გააცნო კრებას მენშევიკური პარტიის მიერ მომენტის და პოლიტიკური მდგომარეობის სისწორით დაუფასებლობა. აგრეთვე შემდეგ ამისა მოხდა თავმჯდომარის არჩევა თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერთი ხმით ნიკოლოზ კობიძე, მდივნათ ამხ. მახარაძე; თავმჯდომარემ მოკლეთ გაუშუქა კრებას დღევანდელი ეკონომიური კრიზისი და აქედან გამოსავლელად სოც. საბ. მთავრობის მიერ მიღებული საშუალებანი. შემდეგ ილაპარაკა ლოლობერიძემ, რომელმაც განუმარტა მასას მნიშვნელობა ადგილობრივი კომიტეტისა. შემდეგ ამისა კი ჯერი მიდგა კომიტეტის არჩევნებზე. დიდი ხმის უმეტესობით ადგილობრივ კომიტეტში არჩეულ იქმნა ერთი უპარტიო, და რვა პარტიული ამხანაგი. ნიკოლოზ კობიძე, ჟერასიმე თოდრია, ჩიხრაძე ვანო, მახარაძე ამბროსი, ბაბლიძე ილია, ლომინიშვილი თეოფანე, თავდიშვილი კირილე და ერთი უპარტიო ოსიპოვი ლევან. მენშევიკებმა მოინდომეს კომუნისტ კანდიდატების გაშავება, მათ წამოაყენეს საკუთარი სიები, და ამას ხელს უწყობდა ზოგიერთი შავი ელემენტები; მათი ზოგის მელიათ ავით გამოსვლა სასირცხვილოდ დამარცხდა.

მმ. მუშისა.

ბიულეტენი

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის.

ტფილისი 9 ნოემბერი 1921 წ.

ნაშუადღ. 1 საათ.

ჰაერის წნევა მმ.: 731.6; ჰაერის ტემპერატ.: 18.5; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 43; მოღრუბლულობა: 0; ქარი № 0.

საღამოს 9 საათ,

ჰაერის წნევა მმ.: 733.1; ჰაერის ტემპერატ.: 6.9; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 87; მოღრუბლულობა: 0; ქარი: № 0; ჰაერის საშუალო ტემპერატურა: 9 ნოემბერი: 9.2; ნორმალი: 8.7; მაქსიმალი: 18.9; მინიმალი: 2.2.

დილის 7 საათ. 10 ნოემბერი

ჰაერის წნევა მმ.: 732.9; ჰაერის ტემპერატ.: 2.1; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 96; მოღრუბლულობა: 0; ქარი: № 2; ატმოსფერის ნალექი მმ.:— შენიშვნა: თოვლი ღამ. დილ.

დილის 7 ს. 9 ნოემბერი 1921 წ.

დაკვირვების ადგილი.	ჰაერის ტემპერ.	ნიადაგის ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ღელვა
ტფილისი	2.3	2	—	0	—
ბორჯომი	0.4	—	—	—	—
ფოთი	11.8	9	—	№ 62	0
სოხუმი	13.9	13	—	№ 2	—

შენიშვნა:

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—ბეხუილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ბოლნისი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ლენინის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—32.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—ამიერ ჭიშკ.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკ—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

სახალხო განათლების კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილება

აცხადებს, რომ ახლო მომავალში იხსნება მეცადინეობა ორივე სქესის იმ პირთათვის, რომლებიც წლოვანებით გადაცილებულნი არიან სასკოლო ასაკს (9—15 წლამდე). მეცადინეობა იწარმოებს საღამოებით ყოველ დღეს.

ამ სკოლებში შესვლის მსურველებს ვთხოვთ დაუჩქარონ განცხადების შემოტანა კომისარიატში ერთვენების, წლოვანების ოჯახური მდგომარეობის და იმის აღნიშვნით თუ ვინ სად სწავლობდა და რომელ ენაზე სურს სწავლა.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ საბჭო ჩვეულებრივ განაგრძობს კავშირის საქმეების მართვა-გამგეობას, დამოუკიდებლად იმ ჯგუფისა, რომელმაც კავშირიდან გასვლა განაცხადა არჩევნების შემდეგ და დაარსა ეგრეთ წოდებული „ახალი მწერლობის კავშირი".

სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენა

(რუსთაველის პროსპექტი № 19)

ღია იქნება დილის 10—4 საათამდე 10, 11, 12 და 13 ნოემბერს. შესვლა უფასოა.

ტირაჟი 10,000 წ. ჩ. გ. შ.